ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

"CADETS" Association of Constitutional Democrats of Georgia

# ახალგაზრდები ჩვენი არჩევანისთვის

პროექტი დაფინანსდა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ. საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესში სწავლების ცენტრმა კონტრიბუციის სახით, უზრუნველჰყო საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება სამიზნე ჯგუფისთვის, რომლის ფარგლებში პროექტში მონაწილე ახალგაზრდებისთვის მათი უშუალო ჩართულობით მოეწყო იმიტირებული არჩევნები.

# პროექტის განხორციელების საფუძველი

❖ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმა

❖ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ 2018 წლის 16 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსი

❖ საქართველოს კონსტიტუციურ დემოკრატთა ასოციაციის საპროგრამო მიზნები და ამოცანები

ახალგაზრდები ჩვენი არჩევანისთვის

პროექტის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები მიმართული იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად, რომელიც, კერძოდ, ითვალისწინებს საარჩევნო კულტურის ასამაღლებლად საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

## პროექტის მიზნები და ამოცანები

❖ არჩევნებში მონაწილე ახალგაზრდებისთვის არჩევნებისადმი ინტერესის გაზრდა;
❖ ახალგაზრდების სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარება;
❖ახალგაზრდებში ჯანსაღი პოზიციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
❖ახალგაზრდების ინტერესების სახელმწიფო ინტერესებთან დაახლოება
❖ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, არჩევნებთან დაკავშირებით ახალგაზრდობის ინფორმირებულობის გაზრდა;
❖ ახალგაზრდების უშუალო ჩართულობა საარჩევნო პროცესებში და მონიტორინგის განხორციელება

## პროექტის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად:

❖ დამყარდა კონტაქტები მცხეთის, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან;

❖მოხდა ამ კონტაქტების გამყარება, ახალგაზრდების დაინტერესება სახელმწიფოებრივი, კერძოდ საპრეზიდენტო არჩევნების თემატიკით;

❖კონკურის წესით შეირჩა გამოცდილი ტრენერი;

❖ მომზადდა შეხვედრების თემატიკა და შესაბამისი მასალები;

❖ჩატარდა შეხვედრები მცხეთის, დუშეთისა და თიანეთის ახალგაზრდობასთან;

❖მოხდა მიღწეული შედეგების შეფასება.

## პროექტის ძირითადი მიზნების შესრულება

მცხეთის, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტების 207 ახალგაზრდასთან ჩატარდა ოთხი, რამაც ჯამში შეადგინა თორმეტი შეხვედრა. ახალგაზრდებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები საპრეზიდენტო არჩევნების თემატიკასთან დაკავშირებით;

შეხვედრების დასრულების შემდეგ ახალგაზრდებმა ტრენერთან და სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად ხალხმრავალ ადგილებში დაარიგეს საინფორმაციო ფლაერები.

გარდა ზემოაღნიშნული თორმეტი შეხვედრისა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა კონტრიბუციის სახით ჩაატარეს შეხვედრა/სემინარი თიანეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან.

შეხვედრებისთვის, მუნიციპალიტეტებთან შეთანხმებით, გამოყენებულ იქნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობები.

## პროექტის ძირითადი მიზნების შესრულება

შეხვედრების თემატიკა:

❖საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პრეზიდენტის უფლება მოვალეობები;

❖ელექტორატსა და არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულებების ძირითადი პრინციპები და მათი რეალიზების მექანიზმები

❖ამომრჩეველთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა და საარჩევნო აქტივობა;

❖არჩევნები და კენჭისყრის დღის პროცედურები

მიღებული ინფორმაციის განმტკიცების მიზნით მონაწილეები ამავე თემატიკაზე იღებდნენ წინასწარ მომზადებულ ბუკლეტებს.

## პროექტის ძირითადი მიზნების შესრულება

### სამიზნე ჯგუფი

❖პროექტის შესრულების დროს შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სამოქალაქო აქტივისტები, რეგიონის აქტიური მოქალაქეები და უბრალოდ ამომრჩევლები.

### რაოდენობრივი მაჩვენებლები

❖სულ შეხვედრებს დაესწრო 207 ახალგაზრდა, მათ შორის, 81 კაცი და 126 ქალი.

❖განხორციელდა 12 შეხვედრა - 4 მცხეთის, 4 დუშეთის და 4 თიანეთის მუნიციპალიტეტებში

ახალგაზრდები ჩვენი არჩევანისთვის

## პროექტის ძირითადი მიზნების შესრულება

### პროექტის ეფექტი

❖პროექტის შედეგად გაიზარდა მცხეთის, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტების ახალგაზრების, ზოგადად, დემოკრატიული და, კერძოდ, საარჩევნო პროცესების შესახებ ინფორმირებულობის დონე, ჩამოყალიბდა სწორი დამოკიდებულება არჩევნების პროცესში ელექტორატის, მათ შორის, ახალგაზრდობის ჩართულობისადმი.

❖შეხვედრის მონაწილეები მიღებულ ცოდნასა და ინფორმაციას გაუზიარებენ ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ნაცნობებს.

❖ზემოაღნიშნული, არა მხოლოდ ამაღლებს ახალგაზრდა ამომრჩევლის ინფორმირებულობის დონეს მთლიანად მცხეთა-თიანეთის მხარეში, არამედ, ქმნის ელექტორატის აქტივობის ზრდის გარანტიას, რაც, საბოლოო ჯამში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდას გამოიწვევს.

მადლობა ყურადღებისთვის